# სახალხო გაზეთი

№ 290 პარასკევი, 29 აპრილი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 290

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური სა პოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## ხელის-მომწერთა საყურადღებოდ!!

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ 1 მაისიდან, ვისაც ხვედრი ფული შემოტანილი არ ექნება, **გაზეთი აღარ მიუვა.**

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

## „სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

**მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.**

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.


ქალიშვილები და ვაჟები ს.-პეტერბურგში 19 აპრილს გარდაცვლილ
**ალექსანდრე ივანეს ძის მანთაშევისა**
იუწყებიან, რომ მეირთვას მამის გამოსვენება იქნება შაბათს, 30 აპრილს, ბინიდან (პასკევიჩის ქ.), დილ. 11 ს., ვანქის ტაძარში. დაკრძალვა ამავე დღეს ვანქ. ტაძრის გალავანში. პანაშვიდი გარდაცვლებულის სულის მოსახსენებლად პარასკევს, 29 აპრილს, საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე. (2—1254—1)

ქართული თეატრი
შაბათს, 30 აპრილს,
**სალიტერატურო გასამართლება**
გამმართავს ვალიკო შალიკაშვილი
ჩვენი მხცოვან პოეტის აკაკის დრამატიულ პოემის
**თამარ ცბიერისა.**
თამარ ცბიერის ღამცველებად გამოდიან: თვითონ ავტორი პოემისა აკაკი და ნაფ. ვექ. ი. მაჩაბელი. ბრალმდებლად ციცაძე (ან ეკალაძე). სასამართლოს თავმჯდომარედ ნაფ. ვექ. ზ. გვაზავა. ნაფიც-მსაჯულებად ქართველი მწერლები. ბილეთ. იყიდება უკვე თეატ. კასაში. დასაწყ. საღ. 8 ნახ. ს.
(3—1252—2) ადმინისტრატორი გ. თორდანიშვილი.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერტცელის“ სასტუმროსთან.
ტელეფონი № 590.
სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.
საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.
დავითიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ხაშ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.
მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.
მზარეულოვი მ. ა.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.
მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.
ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.
ხობთლევსკი ნ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.
ხუციშვილი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელღავათ. სადღასურით. (წ.—1089—453)

**კავკასიაში ჯერ უნახავი ამბავი**
ქ. ტფილისში იხსნება
**ელექტრონ-ავტომატიური კაფე-რესტორანი**
გახსნის დღე და ალაგი ცალკე გამოცხადდება. (2—576—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
შაბათს, 30 აპრილს, სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ე. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
**მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი**
დრამა 3 მოქ. გედევანიშვილისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გოგოლაშვილი, გარე-კახელი, ჩირგაძე, შალამბერიძე, ჩერქეზიშვილი ბ-ნნი ბერიშვილი, ბაქრაძე, ბიაშვილი, გოცირიძე, დადგაძე, მეტრეველი, ნარი, ფრ. ნ[illegible]იშვილი ფრონისპირელი, ჭელიძე, ჭიაურელი, ზაზანაშვილი, ჯაფარიძე და სხვანი. დასაწყ. საღ. 8 ს. ბილეთ. იყიდება თეატრის კასაში დილის 10 ს.-დან 2-ის და 6-დან საღ. 9 ს.-მდე.
2—1151—1) ადმინისტრატორი ი. ქიაბერაშვილი რეჟისორი ბ. მდივანი.

ავჭალის სახალხო აუდიტორია
შაბათს, 30 აპრილს 1911 წელს, ვ. აბაშიძის მონაწილეობით სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება:
**უდანაშაულოდ დასჯილნი**
დრამა 4 მოქმ. ოსტროვსკისა.
მონაწილეობენ: ბ-ნნი ვ. აბაშიძე, მ. ინაშვილი, ს. პეპანოვი, შ. ხონელი, ი. ძნელაშვილი, ქ-ნნი: სოფ. რომანიშვილი, თ. აფხაზიშვილი, შ. ასათიანი, ე. ციმაკურიძე და სხვ. მორიგი წევრები: ს. რომანიშვილი და ვ. რაქვიაშვილი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე 5—8 ს. ბილეთების ფასები 5 კ.—20 კ.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (2—1124—1)

ზუბალაშვილების სახალხო სახლი
პარასკევს, 29 აპრილს, სახალხო მუსიკალური საზოგადოება თავის ლოტბარის პ. პ. ფალიაშვილის საბენეფისოდ სდგამს ოპერას
**კ ა რ მ ე ნ ს**
მონაწილეობენ: ქ-ნნი პახომოვა, მინკევიჩი; ბ-ნნი: ავასოვი, კოვალსკი, ბროლეი და სხვა. ბილეთების ფასი 5—80 კ. დასაწყისი საღ. 8 ს.
ლოტბარი პ. პ. ფალიაშვილი. ადმინისტრატორი ი. დოლიძე.
ა ნ ო ნ ს ი: 6 მაისს ავასოვის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ოპერა—„ფაუსტი“ და „ტრავიატა“. ბილეთები იყიდება. (3—1170—3)

ვაგზლის კერძო
**სამკურნალო**
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.
ე. ს. გაჩეჩილაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.
ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.
გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.
შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
გ. ვ. ხობთლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
**წამლობა „606“-ით.**
(წ. - 1090—49)

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი
ქირურგიული და დედათა სნეულების
**საავადმყოფო**
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
**ივ. ზოპერისი**
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.
იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (0—1251—95)

**ექიმი** ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—46

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი.
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.
ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—58)

ელექტრონისა და რენტგენის
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
**მიხეილ გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20.
(წ.—1249—7)

**ექიმი** ქ უ თ ა ი ს შ ი, ს. ი. ვ ო ლ ო ხ ი
კათოლიკების ქუჩა N 33.
საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყებს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლის ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ქლექიანისა და სხვა სნეულებისა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ გვარი ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივათ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე მგზავნებათ საგანგებო შეხაზვეებში სტერილიზაცია გაკეთებული პროვეტები სისხლის გამოგზავნისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—49)

**ექიმი** ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** გ. ს. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნის ქ., № 9 (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** შ. ა. მ ი ქ ე ლ ა ძ ე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
ქ. ქუთაისში
იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—57)

**ექიმი** კ ბ ი ლ ი ს ა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N2.

**შპალიერი**
ძმ. ტარნოპოლთა
ქ ა რ ხ ნ ი ს ა
ტფილისის განყოფილება
იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355.
საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდებს ქალაქებში.
შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—16)


## ტფილისი, 29 აპრილი

**მუშათა დაზღვევის კანონ პროექტი.** ეს ერთი ხანია სახელმწიფო სათათბიროში ირჩევა კანონ პროექტი მუშათა დაზღვევისა. თუმცა სათათბიროს კომისიამ თვალსაჩინო შესწორება და გაუმჯობესება შეიტანა მთავრობის მიერ წარდგენილ კანონ-პროექტში, მაგრამ იგი მაინც ვერ აკმაყოფილებს დეპუტატთა მომეტებულ ნაწილს, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვს მის ხელ-ახლა განხილვას, შესწორებას და შევსებას. როგორც კომისიის მიერ შემუშავებულ რედაქციიდან სჩანს, ეს კანონ-პროექტი არამც თუ რაიმე სარგებლობას მოუტანს მუშებს, პირიქით, აუარესებს და ამაგრებს მწარმოებელთა პოზიციებს და ამგვარად ნაკლებად იცავს მუშის ინტერესებს და მის კეთილდღეობას.

საქმე იმაშია, რომ უკვე არსებული კანონის ძალით მუშათა დამზღვევ კასების საქმეში თვით მუშებსაც შეეძლოთ მიეღოთ მონაწილეობა. ეხლა კი ეს ახალი კანონ-პროექტი მთელ ამ საქმის წარმოებას მხოლოდ მრეწველთ აკისრებს და იმათ კი, ვისი ხარჯითაც არსებობს ეს კასა და ვის ინტერესებსაც უნდა იცავდეს იგი, სრულიად განდევნილია ამ საქმის წარმოებაში მონაწილეობის მიღებიდან. ცხადია, აქ ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული თვით იმათ კეთილდღეობას, რომელთა სახელსაც ეს კანონ-პროექტი ატარებს. სიმართლე და საქმის სარგებლიანობა მოითხოვს, რომ ყოველგვარ დამზღვევ დაწესებულებაში სრული თვით-მართველობა არსებობდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იქონიოს მუშამ სრული გარანტიის იმედი ყოველ უბედურ შემთხვევაში, ჰქონდეს იმედი, რომ დასახიჩრების დროს სრული დაკმაყოფილება მიეცემა.

ეჭვს გარეშეა, მუშების განდევნა დამზღვევ ორგანიზაციებიდან ხელსაყრელი არაა თვით მუშებისათვის ეგრედ წოდებულ გამაფრთხილებელ დაზღვევის დროს. ყოველი მწარმოებელი მხოლოდ მაშინ მიჰმართავს ამ გამაფრთხილებელ ზომებს, როდესაც რომელიმე შემთხვევაში მას პრემიის შემცირება მოჰყვება.

უფრო უნუგეშო მდგომარეობაში ვარდება მუშა, თუ დავაკვირდებით იმას, რომ კანონ-პროექტი პროფესიონალურ ავადმყოფობაზედაც სდუმს, სრულიად უყურადღებოდ სტოვებს მას და მხარს უქცევს.

პროფესიონალური ავადმყოფობა, რაიცა წარმომდგარია იმ აუტანელ ატმოსფერის და პირობების მიზეზით, რომელნიც ასე მკვიდრად არიან გამეფებულნი ყოველ სამრეწველო დაწესებულებებში, ისევ ძველებურად საზოგადოების გულ-შემატკივრობის და ქველ-მოქმედების ანაბრად არის დარჩენილი. ესე იგი, თუ მუშამ თავის ძნელ პროფესიონალურ მუშაობას ვერ გაუძლო, თუ მისი ორგანიზმი ამ მუშაობაში პროგრესიულად დასუსტდა და ბოლოს მთლად უვარგისი გახდა მრეწველისათვის, იგი მრეწველობის ინვალიდად იქმნება აღიარებული და როგორც ამგვარს, მოესპობა ყოველივე საშუალება არსებობისა.

ამგვარად კანონ-პროექტი გვერდს უხვევს ამ მეტად საჭირო საკითხს, და პროფესიონალურ ავადმყოფის შესახებ არავითარ გარკვეულ წესს არ აირსებს.

გარდა ამისა, კანონ-პროექტში მთლად შეცვლილი წესი ავადმყოფ მუშების წამლების შესახებ. რუსეთში არსებულ კანონთა ძალით, ყოველი მწარმოებელი მოვალეა თავის ავადმყოფ მუშას უწამლოს და ამ კანონის ვალდებულებას ყოველი მრეწველი აქამდის კიდეც ასრულებდა; ეხლა კი ამ კანონ-პროექტის ძალით ეს ვალდებულება, რომელიც მთლად მწარმოებელთ ჰქონდათ დაკისრებული, დამზღვევ კასებზე გადააქვთ.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ კანონ-პროექტი მუშათა დაზღვევის შესახებ, თუმცა ცალკე კომისიამ შეიმუშავა და გააუმჯობესა კიდეც, მაგრამ იგი მაინც ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც აზრად აქვთ გააუმჯობესონ მუშათა პირობები ავადმყოფობის დროს.

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

საგულისხმო წერილია დაბეჭდილი „რეჩის“ მე-109 ნომერში ვარშავიდან. წერილს სათაურად აწერია: **„გამარუსებელთა საიდუმლო საზოგადოება“**. მოვისმინოთ:

„როდესაც შვარცის (განათლების მინისტრი) ადგილი კასსომ დაიჭირა, პოლონეთის სამეფოში მყოფი განათლების მოხელენი დაიბნენ. თვითნებობასა და უკანონობაში აღზრდილნი, დარწმუნებულნი რომ რუსის მოხელე ვალდებულია საქმეს კი არა გენერალთა გემოვნებას ემსახუროს,—აღარ იცოდნენ რა გზას დაადგებოდა ახალი მინისტრი და ვერ გადაეწყვიტათ რანი უნდა გამხდარიყვნენ: „ლიბერალები“, „სლავიანოფილები“, თუ „პოლონოფილები“.

ამის გამო ვარშავის სამოსწავლო ინსპექციამ დროებით ყურები ჩამოყარა... მაგრამ მალე გამოირკვა, რომ კასსო სტოლიპინის „თვითნებობის“ იარაღია და პოლონეთის სამეფოში მყოფი განათლების სამინისტროს წარმომადგენელნიც წელში გაიმართნენ და გაორკეცებულის ძალ-ღონით „ნაციონალიზმის“ განხორციელებას შეუდგნენ.

ამ ნაციონალიზმის გულისათვის, მათ სულ უკანასკნელ ხანებში შეჰქმნეს პოლონელ სკოლასთან მებრძოლი საიდუმლო საზოგადოება...

ამას წინად ადგილობრივმა „უფროსმა“ დაიბარა პოლონურ სკოლებში ეგრედ-წოდებულ რუსულ საგნების მასწავლებელი რუსი მასწავლებელნი.

უფროსი დარწმუნებული იყო, რომ მასთან სულ „საიმედო“ პირნი გამოცხადდნენ, ვისაც შეიძლება ენდოს და გულ-ახდით გაუცხადა: ჩვენ უთქვენოდ და თქვენ ურჩევნოდ ვერას გავარიგებთო საჭიროა პოლონურ სკოლას ვებრძოლოთ, მასში რუსულ ენის მნიშვნელობა ავამაღლოთ, იგი „რუსეთის სახელმწიფოებრივ“ მიზანსა და აზრს დაუქვემდებაროთ. „მთავრობამ“ იცის, რომ რუს მასწავლებლების შრომას პოლონურ სასწავლებლებში მძაფრ აჯილდოვებენ,—ამისათვის, მთავრობა“ სცდილობს რუსი მასწავლებელნი ნივთიერის მხრივ უზრუნველ-ჰყოს, მხოლოდ მათ „პატიოსნად“ და უშიშრად უნდა ხელი შეუწყონ „რუსეთის სახელმწიფოებრივ“ აზრის განმტკიცებას. ამ მიზნით ინსპექციასთან დაარსდება „პედაგოგიური კომისია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ „პატიოსანი“ რუსი პედაგოგები, რათა „მთავრობასთან“ ერთად, საერთო ძალით შეიმუშაონ საუკეთესო ზომები პოლონელთა გარუსებისა და ამ გზით პოლონელთა „ჯიუტობას“ ბოლო მოუღონ...

პოლონეთის სკოლებში მხოლოდ იმ რუს-მასწავლებლებს გააწესებენ, რომელნიც განზრახულ კომისიაში მიიღებენ მონაწილეობას“.

ავტორს მოჰყავს ცნობა, რომ პოლონურს სასწავლებლებში უმცირესი ჯამაგირი მასწავლებლისა 90—100 მანეთს უდრის, მაშინ როდესაც, მთავრობის ქალთა სასწავლებელში 40—50 მ. და ვაჟთა სასწავლებელში—60—75 მანეთს არ აღემატება. ავტორი ბოლოს დასძენს:

„რამდენად უნდა ეზიზღებოდეს ადამიანს რუს კაცში ადამიანობა, რომ ასეთი წინადადება მისცეს და ამ საქმეში მისი იმედი იქონიოს! რამდენად უნდა ჰქონდეს ადამიანს ჩამქრალი ეროვნული გრძნობა, რომ ვერ შეიგნოს, რომ პედაგოგთა ასეთი გამრყვნელი და პოლონელთა გამაშფოთებელი ზომები მხოლოდ რუსეთის მთავრობისადმი უპატივცემლობასა, ზიზღსა და სიძულვილს გამოიწვევს“...

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტოსაგან).

**როძიანკო თავმჯდომარეობს.** დარბაზში თითქმის სათათბიროს მთელი შემადგენლობაა. დეპუტატთა სავარძლები, ლოჟები საზოგადოებისთვის და პრესის წარმომადგენელთათვის გავსებულია. სენატორთა და სახელმწიფო საბჭოს წევრთა და მინისტრთა კაბინეტის ლოჟები მთლად სავსეა.

**სიტყვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინისა.** ბატონო სათათბიროს წევრნო. მე-87 მუხლის განსამარტავად შემდეგი უნდა მოგახსენოთ. ჩვენს საკანონმდებლო დაწესებულებათ რა ფორმალური უფლებანი აქვს მინიჭებული? სათათბიროს, ისევე როგორც საბჭოს, რა თქმა უნდა, უფლება აქვს მთავრობას შეკითხვა წაუყენოს მათვა-გამგეობის ფარგალში, მაგრამ დიდად საეჭვოა, რომ ამავე დაწესებულებათ უფლება ჰქონდეთ მთავრობას აუკრძალონ თუნდაც იმ ხასიათის კანონმდებლობა, რომელიც მტკიცედ და ნათლად გამოთქმულია თვით კანონში. ამ კანონით მათ უფლება ენიჭებათ შემდეგ განიხილონ დროებითი კანონები და მისი სანქციაც მერე უარყონ. ამ საქმის გამო ყველა მოწინააღმდეგე აზრი, ჩემის აზრით, დამყარებულია ორ აზრზე, ორ მომენტის არევაზე: პალატათა უფლება მას შემდეგ, როცა კანონი უკვე წარდგენილია საკანონმდებლო დაწესებულებაში და პალატათა უფლება მთავრობის მოქმედების კანონიერების წინასწარ კონტროლის გაწევა.

პირველი უფლება, ყოველგვარ მოსაზრება-დასაბუთებითა, დაუსაბუთებლად კანონის უარყოფა ყოვლად უცილობელია. მეორე უფლება კი სრულიად არა არსებობს. პირველი უფართოესი რწმუნებულება შეკითხვის უფლებასა ჰნთქავს. იგი განმარტავს საკანონმდებლო დაწესებულებათა უფლებას, რომელსაც ნება არა აქვთ უმაღლეს მთავრობის მოქმედებათა ფორმალურ სისწორის ცენზორად გამოვიდნენ. დასავლეთ სახელმწიფოთა გამოცდილებით ვიცი მაგალითები, როდესაც საგანგებო წესით გაყვანილი დროებითი კანონები უარ უყვიათ, მაგრამ არ ვიცი ისეთი შემთხვევა, როდესაც შეკითხვა, რომლითაც საგანგებო მომენტის და მიზან-შეწონილების შეფასება პალატათა უფლებას შეადგენდეს. ეს ლოღიკურიცაა და გასაგებიც: საკანონმდებლო დაწესებულებანი მეორე დაწესებულების კანონმდებლობით აქტის მსაჯულად ვერ გახდებიან. ეს მოვალეობა, ჩვენის კანონებით, უმართებულესს სენატს ეკუთვნის, რომელსაც უფლება არა აქვს უკანონო და კანონ-შეუწონელი აქტი გამოაქვეყნოს. ამგვარადვე საკანონმდებლო დაწესებულებათ უფლება აქვთ შეკითხონ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, კერძოდ ყველა მინისტრთ, მთავარ გამგეთ მათს უკანონო მოქმედებათა თაობაზე, მაგრამ, ვეჭვობ, რომ მათ უფლება ჰქონდეთ შეკითხონ მინისტრთა საბჭოს, რომელიც უმართებულესს სენატს არ ექვემდებარება, სადაც, ნებისამებრ მისის უმაღლესობისა, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა თავმჯდომარეობს. ერთად-ერთი შემთხვევა იყო, როდესაც მე მინისტრთა საბჭოს უკანონო მოქმედებაზე შეკითხვა წარმომიდგინეს—ეს 1909 წ. 24 აგვისტოს გამოცემულ წესების გამო იყო—როდესაც მე განვმარტე, რომ ამ შეკითხვის დედა-აზრი შეკითხვის უფლების ფარგალში არ შედის.

დღეს სათათბიროს მიერ წამოყენებული შეკითხვა ფორმალურის მხრივ უფრო ფრთხილადაა შედგენილი, ვიდრე სახელმწიფო საბჭოს შეკითხვა, რადგანაც აქ ერთი საბუთი გამოტოვებულია, რომელზედაც ემყარებოდა საბჭოს შეკითხვა. მე ვგულისხმობ უმაღლეს მთავრობის უფლებათა შელახვას საგანგებო გარემოების დროს მე-87 მუხლის გამოყენებისას, პალატათა დათხოვნამდე. მაგრამ ეს უფლება გარდუვალია. იგი დაფუძნებულია და ეყრდნობა ცხოვრების პირობებზე და ჩვენი საკანონმდებლო გარემოებანი რა გინდ განსხვავდებოდნენ დასავლეთ სახელმწიფოებიდან, იქაც, დასავლეთში, ეს უფლება სწორედ ასეა მიჩნეული და არა სხვაგვარად; პატივსადები მეცნიერების აზრიც ამ უფლებით სარგებლობის სამართლიანობას აღიარებს, პალატათა მუშაობის შეწყვეტის დროს, თუ იგი პალატათა მოქმედებამ გამოიწვია. ამ უფლების ყოველგვარი სხვა განმარტება შეუწყნარებელია, იგი დაარღვევდა კანონის სიბრძნესა და აზრს, იგი არარად აქცევდა მეფის უფლებას საგანგებო ბრძანებათა გამოცემისას. შეკითხვის ფორმალურ მხარეზე სიტყვის გასათავებლად, აღნიშნულ უფლების თაობაზე, როგორც პირწმინდა პოლიტიკურ უფლებაზე,—აღვნიშნავ, რომ დასავლეთ ევროპაშიაც არა არსებობს ნორმა ამ უფლების, ასე ვსთქვათ, კონსტიტუციონურად გამოყენებისა. თუ ავსტრიის მაგალითს არა გსურთ მიჰხედოთ, პრუსიის მაგალითი აიღეთ: ამ უკანასკნელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ყველა საგანგებო წესით გამოცემული უმაღლესი ბრძანება, პრუსიის კონსტიტუციის მე-63 მუხლის ძალით—პრუსიის პალატაში დიდ კამათს იწვევდა და თუმცა უმრავლესობა მათგანი ბოლოს და ბოლოს პალატების მიერ მიღებულ იქმნა, მაგრამ ზოგმა მათგანმა ძლიერი ექო დაჰბადა, როგორც მაგ. პეგარამ, ახალმა გარდასახადებმა, საბაჟო გარდასახადმა და სხვა. ის, რაც ჩვენში კანონის დარღვევად, უკანონობად ჰსურთ დასახონ, არც პრუსიაში, არც ავსტრიაში კონსტიტუციის დარღვევად არასოდეს არ ჩაუთვლიათ.

თუ კი ამ საქმის ფორმალური მხარე ეგოდენ უძრაველია, მაშ, რითი უნდა ავხსნათ, ბატონებო, ის აურ-ზაური, რაც მთავრობას უკანასკნელ მოქმედების გარშემო ასტყდა, განგაში პოლიტიკურ წრეებში, ზოგთა გულის წყრომა, ზოგთა მიუხვედრელობა?

რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნებოდა მთავრობის მხრივ, ეფიქრა, ვითომც ყოველივე ეს მხოლოდ იმ სურვილით იყოს გამოწვეული, რომ მთავრობას უსიამოვნება მიაყენონ. ეჭვს გარეშეა, მიზეზი უფრო ღრმა არის. საკითხის საძირკვლამდე გამოსარკვევად ამ მიზეზებს უნდა მივმართოთ. მეც ვეცდები სრულებით დინჯად და მიუდგომლად გავარჩიო მომხდარი ამბავი, რადგანაც ჩემს მოსაზრებათა საფუძვლად სათათბიროს დებულებათა მე-58 მუხლს კი არა მე-40 მუხლზე დავემყარები, სინიდისიერად, რამდენადაც ძალა შემწევს, საქმის ვითარებას გაუწყებთ ამ მე-40 მუხლის თანახმად. ეს მეტად საჭიროდ მიმაჩნია, რადგანაც სათათბირო სასამართლო და წესებულება არაა, რომელიც დასრულებულ ფაქტს იხილავს, რომელიც მკვდარ სხეულს ასო-ასო სჭრის; სათათბიროს ისეთ მოვლენებთან აქვს საქმე, რომელნიც ქვეყნის ცხოვრებასთან ერთად მიმდინარეობს, ცხოვრების მოვლენანი კი განმარტებას ითხოვს.

შემდეგში, სამწუხაროდ იძულებული ვიქნები აღვნიშნო ის მუხლები და საბაბები, რომლებმაც შეკითხვისა და მთავრობის აზრთა შორის უთანხმოება გამოიწვიეს. მაგრამ ჯერ ერთი, რად უნდა აღვნიშნო ის, რაც ჩვენ შორის უთანხმოებას არ გამოიწვევს? მთავრობას 87 მუხლი ისევე აქვს წარმოდგენილი, როგორც სახელმწიფო სათათბიროს. მთავრობა დარწმუნებულია, რომ ამ მუხლის მოხმარება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება და ამიტომ იგი მას თავის არსენალის ჩვეულებრივ იარაღად არა სთვლის. ხოლო რაც შეეხება იმ უთანხმოებათ, რომლებზედაც ეს არის ეხლა ვილაპარაკე მეტადრე იმ უთანხმოებათ, რომლებიც ბოლოს და ბოლოს საგანგებო საშუალებათა მოხმარებას თხოულობენ, ამათ შესახებ მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველმა მთავრობამ ეს უთანხმოებანი უნდა გაითვალისწინოს და ისე მოიქცეს, როგორც მოსალოდნელი შედეგები მოითხოვენ. **Souberner c'est prevoir** იტყოდა ხოლმე დიდი ეკატერინე და მთავრობას, რომელიც უსაზღვრო სივრცეში არა ტრიალებს, უნდა სცოდნოდა, რომ ადრე თუ გვიან მას ორ თავისებურ სულიერ ცხოვრებით მცხოვრებ არსებასთან—სათათბიროსა და საბჭოსთან—შეტაკება მოუხდებოდა. მაგრამ რადგანაც ეს ორი არსება ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება, ამიტომ გამოცდილი ხალხი დარწმუნებული იყო და არის, რომ მთავრობას ერთგვარ ოპორტიუნისტულ პოლიტიკას უნდა შეჰგუებოდა, უნდა შეჰგუებოდა იმ პოლიტიკას, რომელიც ყოველ დიდ და მწვავე საკითხს სრულებით გააუქმებს. ეს პოლიტიკა, რასაკვირველია ქვეყანას დიდ ამბებამდის ვერ მიიყვანს, მაგრამ ვერც კონფლიქტებს შექმნის. ეჭვს გარეშეა, რომ რაც უნდა იყოს, ამ გაუგებრობის მიზეზი სათათბიროსა, საბჭოსა და მთავრობის ფსიხოლოგიის დაფასებაში უნდა ვეძიოთ. ამ ანალიზის სწორედ მოხდენაშია ჩამარხული ის პასუხი, რომელსაც სათათბირო ეხლა მთხოვს. საბჭოს ფსიხოლოგიის წინდაწინვე ცნობა ძნელი არ იყო.

მთავრობის კანონ-პროექტს, საბჭომ წინ და წინვე ისე შეხედა, როგორც მთავრობის მარცხს და ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საბჭო თავის უარსა და საგანგებო გარემოებას ერთმანეთს შეუფარდებდა. საბჭოს მთავრობა პოლიტიკურ ფაქტორად კი არა, ადმინისტრატიულ დაწესებულებად ჰყავდა წარმოდგენილი და ამიტომ მას ამ კანონის მოხმარება მხოლოდ კანონმდებლობის და ადმინისტრაციის ბრძოლა ეგონა. მთავრობის მოქმედება კი, მან კანონმდებლობის ზარალად ჩასთვალა, იმ ზარალად, რომელიც მას უმაღლესმა მმართველმა ბიუროკრატიამ მიაყენა. სათათბიროს ფსიხოლოგია კი უფრო რთულია, რადგანაც შეკითხვის ავტორები მთავრობას სულ სხვა და უფრო ცუდ რასმეს აბრალებენ.

მე, რასაკვირველია, არც ეხლა და არც შემდეგში პირადად ჩემკენ მომართულ შარებს არ შევეხები. მე უფრო არსებით არგუმენტებზე მიგითითებთ. მთავრობაზე, ბატონებო, ეჭვია შეტანილი, რომ იგი გულგრილად ეკიდება ყოველ კანონს, ძირითად კანონებსაც კი, და სურს, რომ ქვეყანას თავის ნებით ვანაგებდეს (ხმები მარცხნივ: მართალია) და ამ აზრის განსახორციელებლად იგი სცდილობდა, რომ კანონის ამ მკვლელობაში სათათბიროსაც მონაწილეობა მიეღო (ხმები მარცხნივ: „მართალია“; ხმები მარჯვნივ: „წუნარად“). ამიტომ იყო, რომ სათათბიროსადმი მთავრობის დამოკიდებულებას აქ ისე უცქეროდნენ, თითქოს იგი აშკარა პროვოკაცია ყოფილიყოს, ან როგორც სათათბიროს ერთმა წევრმა უფრო მშვიდობიანი კილოთი გამოსთქვა—საბრძოლველად გაწვევა. და როცა პროექტი მთავრობამ სათათბიროს რედაქციით გამოაქვეყნა, ამას ისე შეხედეს, ვითომც მთავრობას სათათბიროს შეცდენა და მისი და საბჭოს წაჩხუბება ჰსურებოდა და ეს იმ აზრით, რომ სათათბიროს სახელი დაემცირებინა და ადმინისტრატიულ ძალადობის საწყაო გაედიდებინა (ხმაურობა მარცხნით, თავმჯდომარე ზარსა ჰრეკს). ამას გარდა, ყურადღებას იქცევს ხელწაკვრით გამოთქმული აზრი, ვითომც მთავრობამ მე-87-დე მუხლის ჭეშმარიტი აზრი ძალიან დაამახინჯა, და საკანონმდებლო დაწესებულებათა მოქმედების შეწყვეტა ხელოვნურად შექმნა. ამას გარდა ყურადღებას იქცევს კიდევ ის, რომ მთავრობას საარჩევნო კანონის დარღვევას აბრალებენ.

ისეა ყველაფერი, რასაც ჰფიქრობდნენ, ჰგრძნობდნენ და ამბობდნენ შეკითხვის ავტორები. ყველა ამაზე მე რასაკვირველია ლაპარაკი მომიხდება, მაგრამ ჯერ მინდა ერთი ბრალდება ავიშოროთ თავიდან, ის რაც ეხლა აღვნიშნე, სახელდობრ, საარჩევნო კანონის დარღვევის ბრალდება მგონია, ბატონებო, რომ აქ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს. 14 მარტის ბრძანებაში ამის შესახებ ერთი სიტყვაც კი არ არის ნახსენები. პირიქით, ბრძანებაში რომ არჩევნების ძველი წესის შენარჩუნებაზე ყოფილიყო რამე ნათქვამი, მაშინ ამით დაირღვეოდა საბჭოს არჩევნების კანონი და ძირითად კანონების მე-87-ე მუხლი.

## ახალი ამბები

### ტფილისი

**„სახალხო საქმის“ რედაქციის გაჩხრეკა და თანამშრომლების დაპატიმრება.** როგორც ვწერდით, 27 აპრილს ქართულ გაზეთის „სახალხო საქმის“ რედაქცია გაჩხრიკეს პოლიციელებმა და დამცველ განყოფილების აგენტებმა. რედაქციაში ამ დროს ცამეტამდე კაცი იყო, რომელნიც დააპატიმრეს და ჯერ პოლიციაში, და შემდეგ კი დამცველ განყოფილებაში წაიყვანეს. დაჭერილთა შორის ორი ქალია. ამავ დღეს, ღამით, გასჩხრიკეს ყველა დაპატიმრებულთა ბინები, სადაც, როგორც ამბობენ, საწინააღმდეგო არა უპოვიათ-რა. რედაქცია გუშინაც დაბეჭდილი იყო. ამ მიზეზების გამო გუშინ „სახალხო საქმის“ მორიგი ნომერი არ გამოსულა და ვერც დღეს გამოვა.

**მადათოვის კუნძული.** მადათოვის კუნძულის ერთი მესაკუთრეთაგანი ქამოევი თავისი საკუთრებას 1,700 ოთხკუთ საჟენ მამულს შენობით ქალაქს 510,000 მან. უთმობს. ქამოევმა შესაფერი განცხადება უკვე შეიტანა ქალაქის თვითმმართველობაში.

**ხიდების განათება.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გაამუჯოვესის ნიკოლოზისა და ვერის ხიდის განათება. ეს ხიდები ელექტრონით უნდა იქმნეს განათებული.

**ხორცის სიძვირე.** ყასაბთა თავგასულობას ტფილისში არა ეშველა რა: მათვის სრულიად არ არსებობს დამტკიცებული ნიხრი და ხორცს ისე ჰყიდიან, როგორც მოესურვებათ. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამაც, რომელსაც ამ საგნის თაობაზე დღეს, საღამოს, ექმნება კრება.

**მუსიკა ალექსანდრეს ბაღში.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ზაფხულში კვირაში 2—3-ჯერ მოიწვიოს მუსიკა ალექსანდრეს ბაღის შუა ნაწილში დასაკრავად.

**ეკ. გაბაშვილის იუბილეი.** ქალაქის გამგეობამ დაავალა ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს ნ. პ. ქოქჩაევს, 1 მაისის იუბილეიზე ქალაქის თვითმმართველობის სახელით მწერალ ქალს ეკატერინე გაბაშვილს მიულოცოს.

**ზელიმხანი.** როგორც ხმები დადის, ცნობილი ყაჩაღი ზელიმხანი თერგის ოლქიდან სპარსეთს გადასულა და იქა სცხოვრობს.

**საუნივერსიტეტო თანხა.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა 100,000

# სოფლის მეგობარი

(შემდეგი *)

შობა დღე გათენდა. გუშინდელი ჭინჭყლიანი დღის სამაგიეროდ, დღეს ცხოველმა მზემ გამოანათა და თავისი ბრწყინვალე შუქით, თითქო მხარი დაუჭირა დიდს ბრწყინვალე დღესასწაულს; ნინოს ფანჯარასაც მიაგნო, ჩვეულებრივ ჩაბნელებულ და დაყრდომილ ოთახს ნათელი მოჰფინა, ნათელი მოჰფინა იქ მცხოვრებ ორ დედა-კაცსაც. დარო მო[illegible]ტული იწვა თავის ვიწრო ლოგინზე და ბედნიერის ღიმილით [illegible]ჩერებინა თვალი ამ მზის სხივებს; მთელი იმის არსება ოცნებაში იყო გართული; იმას არ სჯეროდა, რომ წუხანდელი საღამო მოჩვენება არ იყო და ყოველივე ნამდვილად მოხდა; არ სჯეროდა, რომ ის სოლომონი, რომელიც გუშინდლამდის მხოლოდ ექიმი იყო და სხვა არაფერი, წუხანდელს აქედ[illegible]ს მეგობრად, არა ეს ცოტაა იმ გრძნობის გამოსახატავად—იმ სამოთხის მაგვარ გრძნობის გამოსახატავად, რომელიც გუშინ იმის ლაპარაკის თანაგრძნობად იგრძნო დარომ.—„რად შევაწყვეტინე ბაასი? რად არ ვათქმევინე ყველაფერი, ყველაფერი, რის თქმაც უნდოდა? რატომ არ მოუსმინე ის, რაც ჩემ გულს, ჩემ სულს ენეტარებოდა... მაგრამ...

— შვილო, უცებ მოისმა მიკნავებული ხმა ავადმყოფისა და შესწყვიტა ტკბილი ოცნება ყმაწვილი ქალისა.

— ეხლავ, ეხლავ! სიხარულით შესძახა დარომ და საჩქაროდ ტანთ გადაიცვა.

— საშინლად მშიან... ოდნავ წაიჩურჩულა ნინომ, როდესაც სიხარულის ღიმილით თავს დაადგა დარო და მზად იყო აესრულებინა ყოველი იმისი სურვილი.

დარომ საჩქაროდ ცეცხლი აანთო, ექიმის მოტანილი ბულიონი გაათბო და ლმობიერებით დაუწყო ავადმყოფს ჭმევა. იმის სახეზე ისეთი ღვთაებრივი სიკეთე და კაცთ-მოყვარეობა გამოიხატებოდა, რომ ნინომ სასოებით უთხრა:

„— ნეტა თუ რამ შეგქმნა, მაკურე კეთილი და განგებამ საიდან მოგვლინა ჩემდა სანუგეშებლად? რითი და როდის შევიძლებ გადახდას?..

— კარგად გახდით, მალე ფეხზე დადექით და ის იქნება ჩემი საუკეთესო დამადლება.

— რამდენი ხანია, რაც ავად ვარ?

— წუხელის სწორედ სამი კვირა შესრულდა და ექიმმაც იმედი მოგვცა თქვენის გამობრუნებისა.

— სამი კვირაა... რას ამოფთ?! მერე ვინ იყო ჩემი პატრონი? რით ვიყავ ავად?.. ვინ მაწუგეშა?.. ექიმს ვინ აძლევს ჯილდოს, წამლის სახსარს, ვინ მწყალობლობს?—გაოცებული ეკითხებოდა ნინო დაროს.— კარგად მახსოვს, რომ იმ ღამეს, როდესაც გონება დავკარგე, აბაზი არსაიდ მამეძიებოდა... ის წყეული...—აქ ნინოს თვალთაგან მდუღარება გადმოსკდა და სახე სალოდავად დაეღმიჭა.

— კმარა, კმარა, ბატონო! არ შეიძლება თქვენთვის მაგდენი ლაპარაკი, ჯერ კიდევ მოსვენება გჭირიათ... მოსვენებით იყავით, გული დაიმშვიდეთ და შემდეგ ყველაფერს შეიტყობთ. აი საცაა, ექიმიც მოვა.

ამ მოგონებაზე დაროს ალისფერი გადეფინა სახეზე და საჩქაროდ ოთახის დალაგებას შეუდგა. თავის გაშნოიანებაც არ დაივიწყა: სადღესასწაულო ტანთსაცმელით მოირთო, თმები ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს ისწორა, რომ უფრო სახის მოსახდენად მოეწყო და ეშხით სავსე სახისთვის, უფრო შნო და ლაზათი მიეცა, მაგრამ ყოველი გარეგანი გამშვენიერება რას მიუმატებდა იმ სულიერ მშვენიერებას, რომელიც იმის გაბრწყინვალებულ თვალებიდან იფრქვევოდა და იმის გრძნობის სიღრმეს ააშკარავებდა.

დარო ამგერ ოცდა ხუთის წლის დამჯდარ გონების პატრონი ქალი იყო და დიდად უკვირდა თავისი ამ გვარი აღელვება:

— როგორ, მე, ამ ხნის ქალი, ცხოვრების ქარ-ცეცხლს გამოვლილი, ყმაწვილ გომბიოსავით ვცმუკავ, გულს რაღაც იმედებით ვიყოლიებ, რაღაც სურვილები იღვიძებენ ჩემში, რაღაც ნეტარება ავსებს ჩემ არსებას?! ნუ თუ ვარდიშვილი მიყვარს? ნუ თუ შესაძლებელია შეყვარება იმ კაცისა, რომელსაც სამი კვირის განმავლობაში, სამჯერ რიგიანად არ დავლაპარაკებივარ? მაგრამ ლაპარაკი იქ, სადაც კაცის საქმე, კაცის საქციელი ლაღადებს მის ადამიანობას, რა საჭიროა! განა იმისი გულმოდგინე, კაცთ-მოყვარეობით სავსე, ზრდილობიანი ქცევა ჩემთან და უპატრონო, უილაჯო ავადმყოფთან, საუკეთესო მოწმობა არ არის იმის კაცურის კაცობისა? ოხ, გუშინდელო საღამოვ, წაუშლელი იქნები ჩემ მეხსიერებაში საუკუნოდ! რამდენი სიტკბოება, რამდენი სინაზე, რამდენი სიფაქიზე და რამდენი გულუხვობა იყო იმის საქციელში! „არის დრო, ბატონო დარო, როდესაც კაცი უთუოდ უნდა გაბედნიერდეს“. ეს სიტყვები უმაღლესის გარმონიისამებრ ყურთ მესმის და გულს სამოთხის ნეტარებით მივსებს. მაგრამ... შემცდარი რომ ვიყვე? სოლიკო რომ ის არ იყვეს, რაც მგონია? ის რომ მხოლოდ ცუდლუტობდეს, მხოლოდ ხნიერი ქალის გულის სიმების სიბლაგვეს სცდიდეს?... ოჰ, ეს საშინელება იქნებოდა!

დაროს პირის ოფლმა დაასხა და საჩქაროდ დაიწყო ოთახში სიარული, მერე ცოტ ალაგას შესდგა, თვალებზე ხელი გადაისვა და დაბეჯითებით სთქვა: „არა, ის სწორედ ის არის, რაც მგონია, რაც მინდა რომ იყოს! განა მე ის ქალი ვარ, რომელიც კაცის თვალში შეიძლება სათამაშო საგნად გახდეს? არა, ექვსი წელიწადია რაც მამა მომიკვდა და მარტოდ-მარტო უმეგობროდ, უთვისტომოდ ვცხოვრობ ამ დიდ ქალაქში, დღიური ლუკმისთვის ვიღწვი, სრულიად დამოუკიდებლად ვცხოვრობ და არც ერთი შემთხვევა, არც ერთი ბრუდე თვალით შემოხედვა არავისგან არ შემინიშნავს. და ნუ თუ ვარდიშვილს, რომელიმე ჩემის სისუსტით, ნება მივეც მასხარად ავეგდე? არა და არა!

მწამს, მჯერა რომ ყოველი იმისი სიტყვა, ყოველი იმისი მოქმედება სრულის პატივისცემით არის ჩემდამი მოქცეული...

დაროს ფიქრები შესწყვიტა კარის კაკუნმა.

— მობრძანდით... აღელვებით მივარდა ქალი კარებს და კინაღამ არ შეჰკივლა, როდესაც კარებში სოლომონის მაგივრად, ვიღაც უცნობი ყმაწვილი კაცი შეხვდა.

— უკაცრავად, ქალბატონო, მგონი, შეგაშინეთ? მე ექიმი ლაზათიანი გახლავართ, და სოლომონ ვარდიშვილის მეგობარი, თქვენთან იმის მონდობილობით გიახელით. წუხელის ის სახლში ძლიერ გვიან დაბრუნდა და მაგიდაზე დედის დეპეშა დაუხვდა სოფლიდან: „მამაშენი უკანასკნელ დღეშია და დეპეშის მიღების უმალ წამოდიო“.

— ეგ სიცრუეა! თქვენ რაღაც ზღაპრებსა სთხზავთ, რომ გაამართლოთ უპატიოსნო საქციელი თქვენის გაქცეულის მეგობრისა! შეეშინდა განა, რომ ორი საცოდავი დედა-კაცი კისერზე შემოეხვივნენ? საწყალი, რა მოკლე ყოფილა იმისი ნაქები სათნოება... კაცთ-მოყვარეობა... ხა, ხა, ხა!

— ქალბატონო, კმარა... ტყუილად ნუ შეურაცყოფთ ჩემს მეგობარს! გარწმუნებთ, რომ ის ნამდვილად სათნო და უზაკველია და თქვენ უსამართლოდ სდებთ ბრალს გაქცევისას... აი, ბარათი და ფული, რომელიც მე იმან მომანდო თქვენთვის გადმოსაცემად.

— ფულიო?! ხა, ხა, ხა!—ისტერიულად გადიხარხარა დარომ და საშინელის კვიცინით ჩავარდა სავარძელში. მოწყალება, სიბრალული, ჩინებული ნუგეშია... მე კი ღმერთივით ვენდე...

სამი კვირის დაღალვით, უძილობით, მწუხარებით მოშლილი ძარღ-

*) იხ. «სახალხო გაზეთი»-ს № 289.

მანეთის 4% სახელმწიფო რენტა შეიძინოს და ხაზინაში შეიტანოს მთავარ საუნივერსიტეტო კომიტეტის სახელობაზე. ამას გარდა დაადგინა, 5 წლის განმავლობაში ამ კომიტეტის დაუკითხავად არც გაჰყიდოს და არც იჯარით გასცეს ის 209 დესეტინა საქალაქო მიწა, რომელიც ქალაქის საბჭომ მომავალ უნივერსიტეტს აღუთქვა.

✦ 27 აპრილს, ავჭალის ქუჩაზე **უბედურება დატრიალდა.** რკინის გზის სადგურთან ახლო მოდიოდა ტრამვაის ვაგონი № 29; ვაგონს 8 წლის ბავშვი შემოახტა გვერდიდან და ცელქობდა. მგზავრებმა გააფრთხილეს, რასმე იტკენო. ამ დროს მეორე მხრიდან მომავალი ვაგონი გამოჩნდა. ბავშვმა გაქანებულ ვაგონიდან მეორეზე გადახტომა მოისურვა, მაგრამ მოსწყდა, თავით პირველ ვაგონს დაეჯახა და უსულოდ დაეცა.

✦ **„ვეფხის ტყაოსანი" ინგლისურ ენაზე.** ოლივერ უარდროპი უკვე შესდგომია განსვენებულ თავის დის მარჯორი უარდროპის მიერ ინგლისურად ნათარგმნ „ვეფხის ტყაოსნის" ბეჭდვას. წიგნი მოკლე ხანში გამოვა ლონდონში.

✦ **ჯარიმები** ტფილისის გენერალ-გუბერნატორმა დააჯარიმა: 1) ალექსანდრე ძნელაძე 10 მანეთით ნებადაურთველად ხანჯლის შენახვისათვის თუ ჯარიმას არ გადაიხდის ერთის კვირით დააპატიმრებენ, 2) ივანე წერეთელი 25 მანეთით ნებადაურთველად რევოლვერის და ხანჯლის ტარებისთვის; თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ორის კვირით დააპატიმრებენ და 3) სოფიო ყარაევისა 10 მანეთით ნებადაურთველად თოფის შენახვისათვის, თუ ჯარიმას არ გადაიხდის ერთის კვირით დააპატიმრებენ.

გუბერნატორმა 100 მანეთით დააჯარიმა პორუჩიკი ნიკოლოზ ხოლიაროი პოლიციელის შეურაცყოფისთვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის ერთის თვით დააპატიმრებენ.

✦ 27 აპრილს ტფილისში შეიპყრეს 10 უპასპორტო.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ბეითალთა საზოგადოების** წლიური კრება პომხიდება დღეს, სამკურნალო საზოგადოების დარბაზში.

✦ **სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის** კრება ამ დღეებში მოხდება.

✦ **ბუნების მეტყველთა და ექიმთა კრება ტფილისში.** 27 აპრილს დედათა უმაღლეს კურსების სადგომში კრება ჰქონდათ სხვა და სხვა საზოგადოებისა, ქალაქის თვით მმართველობისა და კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენლებს, რომელთაც მსჯელობა იქონიეს ტფილისში ბუნების მეტყველთა და ექიმთა მე-XIII კრების მოწვევას თაობაზე, თანახმად მოსკოვში მომადარ კრებისა. დასასრულ დამსწრეთ შეადგინეს და ხელი მოაწერეს იმ ქაღალდს, რომლითაც სახალხო განათლების მინისტრს უნდა მიმართონ და კრების მოწვევის ნებართვა სთხოვონ.

✦ **ვაჟთა მესამე გიმნაზიის** ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ 30 აპრილს ხაარტისტო საზოგადოების საზაფხულო სადგომში სეირნობა გაიმართება.

✦ ხვალ 30 აპრილს კავკასიის საიმპერატორო სატყეო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საერთო კრება მოხდება. განსახილველია: 1) მიმდინარე საქმეები. 2) ვიცე პრეზიდენტისა და საზოგადოების საბჭოს წევრის არჩევნები. 3) საპატიო წევრის ა. ქალანთარის მოხსენება კავკასიის უმაღლეს სასწავლებლის შესახებ. 4) ი. გ. ქუთათელაძის მოხსენება მეაბრეშუმეობის შესახებ. 5) შ. ზ. ტარატინსკის მოხსენება ბაღების მრეწველობის გაფართოებაზე.

✦ კვირას 1 მაისს ბირჟის დარბაზში ვაჭართა საზოგადოების კრება შესდგება. განსახილველი საკითხი კავკასიის უნივერსიტეტისთვის შემოწირულებათ შეგროვებისა.

## სასამართლო

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს** ბრალმდებელი ნ. ა. გრომოვი და ბრალმდებლის ამხანაგი ვ. ა. ნაზაროვი ხაშურს გაემგზავრნენ, სადაც ამას წინად გიმნაზიელი არუწოვი გაიტაცეს.

✦ **რედაქტორ პ. ა. გოთუას საქმე.** გუშინ ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია „ნოვაია რეჩ"-ის რედაქტორის პ. ა. გოთუას საქმე. სამართალში მიცემული იყო—ოფიცრების მიერ ტრამვაის ვაგონში ტფ. სასამართლო პალატის წევრის ბ ნ კოვენკოს დაპატიმრების გამო დაბეჭდილ წერილისათვის სასამართლომ 2 კვირით დაპატიმრება გადაუწყვიტა. ამას გარდა პ. გოთუა ადმინისტრატიულის წესითაც იყო დასჯილი ამავ წერილის გულისთვის.

## სასწავლებლებში.

✦ **სასულიერო სემინარიის** უფროს კლასების მოსწავლეთ ეგზამენები უკვე დაეწყოთ. დაბალ კლასებში 1 მაისს დაეწყებათ.

✦ **ვაჟთა მესამე გიმნაზიაში** 27 აპრილს ეგზამენები დაიწყო.

✦ **საკომერციო ბანკის** საბჭომ დაადგინა, ყოველწლივ შეიტანოს ბანკის ხარჯთ-აღრიცხვაში 300 მან., რათა ამ ფულით ბანკის დირექტორად ნამყოფ მ. ნ. თვალოვის სახელობაზე საკომერციო სასწავლებელში სამი სტიპენდია დაარსდეს ამ ბანკის მოსამსახურეთა შვილებისათვის.

✦ 27 აპრილს, ვაჟთა პირველ გიმნაზიაში და კომერციულ სასწავლებელში სიმწიფის მოწმობის მისაღები გამოცდა დაიწყო.

✦ 27 აპრილს ტფილისის სამოსწავლო ოლქთან ფრანგული ენის მასწავლებლობის მისაღები გამოცდა დაიწყო. გამოცდაზე ერთი ქართველი გამოცხადდა.

## სომხების ცხოვრებიდან

✦ **შირვან-ზადეს იუბილეი** 7 მაისს გაიმართება. ქალაქის თვით მმართველობის სახელით იუბილიარს ნ. პ. ქოჩარავი მიულოცავს.

## ქუთაისი

✦ **ნორმალური დასვენება.** ქუთაისელი ნოქრები ქალაქის გამგეობაში დეპუტაციის მიგზავნას აპირებენ. დეპუტაციამ უნდა მოაგონოს გამგეობას, საოპ[?] საბჭოს მიერ შემუშავებული და მთავრობის მიერ უკვე დამტკიცებული პროექტი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების შესახებ. ასეთ დაწესებულებათ მეპატრონენი ამ ქამად გვერდს უქცევენ ამ დადგენილებას.

✦ **საურთიერთო ნდობის საზოგადოების** დირექტორად აირჩიეს ერთხმად ისევ გ. ს. აკოფაშვილი; საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ ერთხმად ისევ ფ. გ. გაბუნია და რაფ. რიჟინაშვილი; სარევიზიო კომისიის წევრებად ერთხმადვე დატოვებულ იქმნენ: დ. ა. ნაზაროვი, დ. ნ. ჩიკვაიძე და იაკ. ავსარქისოვი. მათ კანდიდატებად: ბ. პ. მოსეშვილი, ფ. ს. ფილიპოვი და ე. ხ. საპაკაშვილი.

✦ **საქველმოქმედო სეირნობა.** 1 მაისს ქალაქის ბაღში სეირნობა გაიმართება გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წიგნთ-საცავ სამკითხველოის სასარგებლოდ.

✦ **პენსიები.** ქალაქის საბჭოს ფინანსიურმა კომისიამ დაადგინა, დ. ა. ლორთქიფანიძეს 1500 მან. ყოველ-წლიური პენსია დაენიშნოს, ხოლო ი. ს. ფანცხავას ერთდროულად მიეცეს 1000 მან.

## ბაქო

✦ **ჭიგვთის** მაზრაში როგორც დეპეშათა სააგენტო იუწყება მტკვარმა ნათესები წაიღო.

## პროვინცია

✦ მიწათ-მომწყობ და მიწათ-მოქმედების მთავარი გამგის რწმუნებულის განკარგულებით, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ინსპექტორმა კომიტეტის **ინსტრუქტორი მაკარაშვილი** სიღნაღის მაზრაში გაგზავნა ვაზის ახალ სენის გამოსაკვლევად.

✦ როგორც სოფ. საქობოს გლეხები ამბობენ ვაზს ახალი სენი უჩნდება, ფილოქსერას ძლიერ წაავავსო.

✦ **სიღნაღში 23 აპრილს დილის** ექვს საათზე კავკასიის საქვეითო სამმართველოს მე VI ოლქის მოხელემ ანატოლი სკრიპკომ რევოლვერით თავი მოიკლა. მიზეზი გამოურკვეველია.

✦ **სიღნაღის მაზრაში შირაქის** მინდორში დიდძალი კალიის თესლი აღმოჩნდა. ამ თესლის გასაწყვეტად დიდძალი მუშა გაიგზავნა, მაგრამ მუშაობა აღდგომის დღესასწაულების გამო შესწყდა. ამ დროს კი კვერცხებიდან კალია უკვე გამოიჩეკა. საჭიროა სწრაფი ზომების მიღება. ამ მიზნით ადგილობრივმა მაზრის უფროსმა ტფილისის გუბერნატორს მიმართა კალიის გასაწყვეტად 500 მანეთი გადასდეთო.

✦ **დუშეთის მაზრაში,** სოფ. მუხრანისა და დიმპადის შუა გზე გამოჭრილი და გაძარცვული კაცის გვამი ნახეს მოკლული ზინკერის ამხანაგობის აგენტი აღმოჩნდა.

✦ **სოფ. ნატახტარში** (დუშეთის მაზრა). აქაურ გლეხ მიხა იმერლიშვილის სახლს ყაჩაღები დაეცნენ. იმერლიშვილთან ერთად ქართლის სტუდოსწუდო მამულების ტყის მცველი ნიკოლოზ ბარნოვი ყოფილა. ყაჩაღებმა ბერდანები დაუშინეს მათ და ორივე დახოცეს. ბარნოვს იარაღი წაართვეს და მიიმალნენ. მოკლულ იმერლიშვილის მშობლებმა განაცხადეს, მკვლელობა შურის-ძიებითაა ჩადენილი. ბარნოვი კი შემთხვევითი მსხვერპლია. ეჭვი აქაურ გლეხებზე დევან თვალიშვილზე და დაბურზე მიიტანეს. ორივე შეიპყრეს. დანარჩენთა შესაპყრობად სასტიკი ზომებია მიღებული.

✦ **მუღანოში ახალი ხეხილის სანერგე დაარსდა.** სანერგეს მეთაურად ტფილისის ბოტანიკური ბაღის მებაღე გ. მ. საჯიძე დაინიშნა.

✦ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა დაამტკიცა გოქჩის ტბასთან ბოტანიკურ ბაღის გოგჩის განყოფილება. ბოტანიკური განყოფილება სოფ. ელენოვკაში (ერევ. გუბ.) გაიხსნება. ასეთივე განყოფილება გაიხსნება უარაიაზში (ტფ. მაზ.). მუშაობა მალე დაიწყება.

## ქუთაისის აპ-პარგი

ამ ზაფხულში, რომ ხოლერა მოსალოდნელია, ეს არავისთვის არ არის საეჭვო და ამიტომ ქალაქის თვით-მმართველობამ დიდი წინდახედულობა და ენერგია უნდა გამოიჩინოს, რომ სენი არ გაძლიერდეს. უეჭველად ამითი აიხსნება ის, რომ ქალაქის თავი ბ-ნი ჩიქოვანი ქუჩებისა და ეზოების სისუფთავეს დიდი ყურადღებას აქცევს და ამ მხრით კიდევაც ემჩნევა ქალაქს სასიკეთო ცვლილება.

ეს ასეა, მაგრამ რითი, ან რა ძალებით უნდა გაუმკლავდეს ქალაქი ხოლერას? არა მგონია იყოს სადმე ქუთაისის ოდენა ქალაქი, საცა სანიტარული ორგანიზაცია ისეთი სუსტი იყოს, როგორც აქ. მთელი ეს „ორგანიზაცია" გამოიხატება ერთად ერთს ექიმში, და რამდენიმე დამხმარე დაბალ მოხელეებში. უკანასკნელნი ხომ აღმასრულებელნი უნდა იყვნენ ექიმის განკარგულებისა, ხოლო თვით ექიმი-კი, გარდა იმისა, რომ სანიტარულ ფუნქციებს ასრულებს, ამავე დროს განაგებს ქალაქისავე გადამდებ სენით ავადმყოფთა სამკურნალოს, ითვლება სამოქალაქო სასწავლებლის ექიმად და არც კერძო პრაქტიკაზე ამბობს უარსა, როგორც ეს მისი განცხადებიდანა სჩანს ადგილობრივ რუსულ გაზეთში.

ყველა დამეთანხმება, რომ ამნაირად დატვირთული კაცი ფიზიკურად ვერ მოახერხებს ყველა ფუნქციების შესრულებას და ამიტომ ქალაქმა უნდა იზრუნოს, რომ სანიტარული ექიმი იმდენად უზრუნველჰყოს მატერიალურად, რომ იგი კერძო სამუშაოს არ იღებდეს და მთელ თავის დროს ქალაქის სამსახურს ანდომებდეს. უამისოდ სახელი თუ ერქმევა სანიტარული ექიმისა, როგორც მაგალითად ეხლა არის, თორემ საქმით თვალსაჩინო არაფერი დაეტყობა ქალაქს.

* *
*

მას აქეთ, რაც ქუთაისში ქართული ყოველ დღიური გაზეთი გამოდის, რუსულ გაზეთს სიმშვიდე დაეკარგა და დღე ისე არ გადის, რომ ქართულ გაზეთში დაბეჭდილ წერილებს შენიშვნები არ გამოეწვია რუსულში. ვიდრე ამ შენიშვნებს შესაწყნარებელი ხასიათი ჰქონდათ, ხმას არავინ იღებდა და მართალი რომ სთქვას კაცმა, არც იყვნენ ღირსნი პასუხისა, მაგრამ „კოლხიდელთა" მდუმარებით გაგულისებულმა, თუ სხვა უფრო საგრძნობელი მიზეზების გამო, უკანასკნელ ხანებში რუსულ გაზეთში ისეთი თვისების შენიშვნები ისტამბება, რომ აღარ იცი რა სახელი უწოდო მათ. იქნება გაზეთის ხელმძღვანელნი ვერ ამჩნევენ ამას, ან ყნოსვა იმდენად დაჩლუნგებული აქვთ, რომ ვერა გრძნობენ, რა სუნი უდის გაზეთში დასტამბულ ზოგიერთ წერილს, და ამიტომ გულ-წრფელად ვურჩევთ გაზეთს—ჩაუკვირდეს თავის მოქმედებას და მოლიპულ გზას დროზე აუხვიოს, თორემ მერე გვიან-ღა იქნება.

* *
*

საურთიერთო ბანკის საზოგადო კრებას წრეულს სულ სხვა ფერი ედო. წევრნი უფრო იმედიანად უყურებენ მომავალს და ეჭვი არ არის, რომ ამ ოდესღაც მძლავრი დაწესებულების ფეხზე დაყენება შეიძლება, თუ ვაჭრებმა არ უღალატეს, როგორც ეს წინად მოხდა.

წარსული წლის ოპერაციები თუმცა მცირე მოგებით გათავებულა, მაგრამ დაწესებულება გამაგრებულა, ნდობა მოუპოვებია როგორც წევრებისა, ისე სხვა საკრედიტო დაწესებულებებისა. ყოველივე ეს სანუგეშოა, მაგრამ ვერ გაგვიგია ერთი რამ: შრომას დაფასება უნდა. ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, და ჩვენი ვაჭრები-კი, ალიძვრის თუ არა ლაპარაკი მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატებაზე, ან სულ უარს ამბობენ, ან ნამცეცებს აძლევენ; რა სახელი ეწოდება, თუ არ ნამცეცი, როცა მოსამსახურეს, რომელიც მთელ თავის დროს ბანკის მუშაობას ანდომებს, და 5 მანეთს უმატებენ თვეში, და ისიც დიდი ვაივაგლახის შემდეგ.

მეორე არა სასურველი ტენდენცია, რომელიც შევნიშნეთ კრებაზე, ის არის, რომ ვაჭრები სიამოვნებით განდევნიდნენ საზოგადოებიდან არა ვაჭარო, თუ ეს უკანასკნელთა თვალის ახვევით განხორციელდებოდა; ასეთი საშუალება კიდევაც გამოუგონიათ და წინადადება მიუციათ გამგეობისა და საბჭოსათვის: იშუამდგომლეთ, რომ ჩვენი დაწესებულება ვაჭართა ბანკად გადაკეთდესო.

გამგეობამ ასეთი განცხადება ვაჭრებისა მოახსენა კრებას, რომლის ერთი ნაწილი მალე მიხვდა რაშია საქმე და კიდევაც აღნიშნა, რომ ასეთი რეორგანიზაცია სასურველი არ არისო.

გაცხარდნენ ვაჭრები, შეჰქნეს განგაში, ყვირილი, ზოგიერთმა სკამსაც კი წაავლო ხელი ვითომდა შეურაცმყოფელის დასასჯელად, მაგრამ მალე მოიბრუნეს გული; ერთმა ჩემმა მეზობელმა ისიც-კი აღნიშნა, რომ სუყველაზე მეტად ისა ცხარობდა, ვისაც მეტი დანაშაული მიუძღოდა საზოგადოების წინაშეო. ყოველ შემთხვევაში საკითხი საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ გარიყული დარჩა და არცა გვგონია კრება კვლავ დაუბრუნდეს მას.

არჩევნებში კრება „დარჩეს, დარჩეს" პოლიტიკას დაადგა. ვისაც-კი სამსახურის ვადა გასდიოდა, ყველა თავის ადგილას დასტოვეს, ისეთებიც-კი, რომელნიც იხვეწებოდნენ—გამანთავისუფლეთო. გვგონია, რომ ასეთი პოლიტიკა შეუწყნარებელია. თუ ასარჩევია კაცი, იგი მიღებული წესით, კენჭის ყრით, უნდა აირჩეს, თორემ „დარჩეს, დარჩეს" ყვირილით შეიძლება ისეთი კაციც აირჩეს, რომელიც უმრავლესობისთვის და საქმისათვისაც სასურველი არ არის.

მ. ა. ძ.

## მოწერილი ამბები

**ახალციხე.** ადგილობრივი რაბათის დედათა ერთ-კლასიან სასწავლებელზე ბევრჯელ დაწერილა გაზეთებში, როგორც უვარგის სასწავლებელზე, მაგრამ წამლის დასდები კი ერთხელაც არავინ აღმოჩენილა და არც აღმოჩნდება, თუ რომ მის უვარგისობის წინააღმდეგი მიზეზები არ აღმოფხვრეს.

---

ვები ველარ შეემაგრებინა დაროს და საშინელის ხმით ქვითინებდა და ხელებს იმტვრევდა.

— ახია, ჩემზე, ახი! აღუსავით ვისულმოკლე!"

— ბატონო დარია, რას შვრებით, დამშვიდდით, ბარათი წაიკითხეთ და თქვენ თითონ მიხვდებით თქვენს უსამართლობას! სხვა რომ არა იყოს-რა, ავადმყოფი შეიბრალეთ, ხედავთ რა მწუხარებით გიყურებთ!

მართლაც დაროს ტირილზე ნინოს გაეღვიძა და გაოცებით შეჰყურებდა იმის ვაგლახს და გონება დაკარგულივით მის მაყურებელ ახალგაზრდა ექიმს.

დარომ ნინოს დანახვაზე ტირილი უცებ შესწყვიტა, საჩქაროდ თვალები მოიწმინდა და მოკრძალებით და შვილებრივის ღიმილით ავადმყოფს მიუახლოვდა: მაპატიეთ ჩემი სულმოკლეობა. ეხლა სრულიად დავმშვიდდი. დავრწმუნებულ ხართ, მხოლოდ თქვენ დაგვიშვიდდით.

— ბატონო ექიმო. აბა ნახეთ ჩვენი ავადმყოფი, ეხლა იმედია სრულიად გასაღებულია და ფეხზედაც მალე წამოდგება?—ძალდატანებულის ღიმილით მიიწვია დარომ ექიმი.

ექიმმა დაწვრილებით დაუწყო ავადმყოფს შინჯვა, გამოჰკითხვა. დარომ ამ შემთხვევით ისარგებლა და მაგიდაზე დაგდებული ბარათი გადამალა. „დარო... ოხ! ბატონო დარიავ! ვემუდარებით, მიიღეთ ეს ცოტაოდენი ფული ქნეინას ფეხზე დასაყენებლად. ამ ორიოდ დღეზე ვეცდები ყოველი ჩემი გულის-თქმა გრძელის წერილით გაცნობოთ. ჩემს მეგობარს ვგზავნი ჩემს მაგივრად და გულით ვშიშობ, რომ სამი კვირის სიჩუმის შემდეგ ეგ არ გახდეს ღირსი თქვენის ტკბილის ბაასისა... გებრალებოდეთ თქვენი საყვარელი სახელის მატარებელი".

დაროს სახემ გაიღიმა, სირცხვილის და სიხარულის სიწითლემ აანთო მისი ჩვეულებრივად ფერ-მკრთალი ლოყები.

— „საწყალი ექვიანობს"—წაიტუტუნა თავისთვის და მხოლოდ ეხლა შეხედა სოლომონის მეგობარს. ის სერიოზულად უსმენდა ავადმყოფის გულისცემას და იმის სათვალეებიდ შეჭყურვილი ბეცი თვალები არავითარ მის შინაგან თვისებებს არა ხატავდნენ. განიერი, გადაშლილი თეთრი შუბლი და მომსხო, მაგრამ ლამაზი ტუჩები, ოდნავ ამწვანებულის ულვაშებით მიმზიდველობას მოკლებული არ იყო, მაგრამ საზოგადო შეხედულობა კი საერთოდ, ჯმუხი და მოკლე ტანი, მეტის მეტად გამოკოკლოზინებული ტანისამოსი, ფაქიზად დაჭრილის და გაპრიალებულის ფრჩხილებით, ვიწრო კალურ ფეხსაცმელებით, მათ პატრონს დარბაისელის კაცის შეხედულობას არ აძლევდა.

დარომ ერთის გადახედვით შენიშნა ყველა ეს წვრილმანი, მაგრამ დიდი მნიშვნელოვანი სამკაული ყმაწვილის ექიმისა და გადაწყვეტილი აზრი შეადგინა მაზე: „ტყუილად ეშინიან სოლიკოს, რომ ამ მოპრანჭულს ესკულაპს გავცვლი ჩემს სადა და გულწრფელ არჩეულზე".

— განა ვარდიშვილმა თქვენ არ გიამბოთ კნ. ნინოს ავადმყოფობის მსვლელობა, რომ თქვენ აგრე დაწვრილებით შინჯავთ? შეეკითხა ექიმს.

— დაწვრილებით არც უამბნია სოლიკოს ჩემთვის და თუნდ რომ ეამბნა კიდეც, მაინც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, თითონ დავრწმუნდე, თუ რაში მდგომარეობს ავადმყოფობა იმ პირისა, რომელსაც დღეიდან მე უნდა უწამლო, ცოტა არ იყოს თავ-მომწონებით წარმოსთქვა ყმაწვილმა კაცმა.

— მაშ, თქვენ არა გჯერათ სოლომონის ცოდნა, თქვენ ეჭვში ხართ, რომ ის შეიძლება შემცდარიყოს,—სიცხარით სთქვა დარომ.

— რად სჯავრობთ, ბატონო დარია! გარწმუნებთ, მე სოლომონისა ყველაფერი მჯერა, იმის ცოდნასა და გამოცდილებას დიდად პატივსა ვცემ, მაგრამ ჩემის გონებით შემოწმება ავადმყოფობის გამოკვლევაში—აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია. თუმცა თქვენ ძლიერ მხურვალედ იცავთ იმის ინტერესებს—დამნაშავეს, ღიმილით დაუმატა ბ. ლარათიანმა,—მაგრამ მეც ცოტაოდნად მიყვარს ის; სოლიკო ჩემი საუკეთესო მეგობარია და იმისათვის, მენდეთ და ეჭვში ნუ შეხვალთ, რომ მე ისე ადვილად გავკიცხო, როგორც ამ ერთი წამის წინად ჩაიდინა ერთმა მანდილოსანმა...

— მალე მეღირსება მზის შუქის დანახვა?—ოდნავ წაიჩურჩულა ავადმყოფმა და შესწყვიტა ყმაწვილ ექიმის სიტყვები, რომლებზედაც დარია საშინლად გაწითლდა.

— ფიქრი ნუ გაქვთ,—ღიმილით უპასუხა ექიმმა. დღეისწორს თქვენ შეიძლებთ აი ამ სავარძელში ჩაჯდეთ, ორ კვირაზე ჰაერზე გასვლასაც მოახერხებთ, თქვენ ახლა სრულიად განკურნებული ხართ, მხოლოდ უნდა უხვად სჭამოთ, რაც კი ძალი და ღონე გაქვთ. კარგი ღვინო, რძე, კვერცხი, მცვრიანი წვადი, ერთის სიტყვით, ყველაფერი უნდა დაიცვათ ისე, რასაც ექიმები დიეტას ეძახიან.

— თუ ჩემი გამობრუნება მარტო მაგ „დიეტაზეა" დამოკიდებული, ბატონო ექიმო, მაშ უიმედო ავადმყოფი ვყოფილვარ,—მწარის ღიმილით წაილუღლუღა ნინომ; რითი, ან როდის უნდა გადვიხადო ამ ღვთისნიერის ქალის მწარის ოფლით შეძენილი მონაგარი?..

სიკვდილი, სიკვდილი... სიკვდილი სჯობს ჩემისთანა ბოგანოდ ქცეულის ადამიანისა..!

— დამშვიდდით, დამშვიდდით, ბატონო, ღელვება თქვენთვის ყოვლად შეუძლებელია, მოითმინეთ, მორჩით, ფეხზე დადექით და გადახდაზე მერე მოვილაპარაკებთ.—დაამშვიდა ავადმყოფი ექიმმა. მერე დაროს მიუბრუნდა და დაბალის ხმით დაეკითხა:

— კიდევ სჯავრობთ სოლოზე, ისევ მუხანათად მიგაჩნიათ?

— მაპატიეთ, ბატონო ექიმო, ჩემი უზრდელი საქციელი თქვენს წინაშე. რომ შეგეძლოთ წარმოიდგინოთ ის საშინელი გულის ტკივილი, რომელიც ვარდიშვილის მოუსვლელობამ მაგრძნობინა, შეგებრალებოდით: ჩემ თვალში უცებ შავბნელად გადაიქცა ის, რაც ერთის ღამის წინად ბრწყინვალე და ნათელი იყო; ჩემი რწმენა და სასოება ამის მაგივრად თქვენს დანახვაზე, მსუბუქ ბუშბულად გარდაიქცა და ჰაერში დაიკარგა... გაჰქრა... და, განა, გამამტყუნებთ, რომ სასოწარკვეთილებამ შემიპყრო?

— ღმერთმა დამიფაროს! მხოლოდ გთხოვდით, ცოტაოდენ მოთმინებას, მხოლოდ ბარათის გადაკითხვალიერებას...

დარო საშინლად აენთო:

— როგორ! თქვენ განა იცოდით ამ ბარათის შინაარსი?

— ჰოც და არაც! დაახლოვებით, დილის რვა საათზე გიჟივით შემოვარდა ჩემთან სოლიკო, ორის სიტყვით გადმომცა დეპეშის შინაარსი და თან დიდის მღელვარებით დასწერა ბარათი თქვენთან და ფულთან ერთად, ორიოდე სიტყვით, რომელთა განმარტებაც მომატებულია კეთილის მეგობრისათვის, დამავალა, გადმომეცა თქვენთვის.

— მაშ?

— მე მიგულებდეთ ერთგულ მეგობრად და ძმად. ყოველი თქვენი სურვილი და საჭიროება სავალდებულო აღსასრულებელი იქნება ჩემთვის, მანამ სოლიკო დაბრუნდება.

— გმადლობთ, მჯერა და მეგობრულს ხელს გიწვდით. როგორ გგონიათ, მალე დაბრუნდება ბატონი ვარდიშვილი, თუ დიდ-ხანს დაჰყოფს სოფელში?—კიდევ ალმურმა აჰკრა დაროს სახეზე და თავი მორცხვობით ძირს ჩაჰკიდა.

— ეგ საქმეებზე გახლავთ დამოკიდებული. უეჭველია პირველ შემთხვევით ისარგებლებს და აქ გაჩნდება, მანამდისინ კი მიმსახურეთ თქვენი მორჩილი ყმა და მონა.

ეკ. გაბაშვილისა.

(შემდეგი იქნება).

მართალია სასწავლებლის კომიტეტი დიდი ენერგიით ეკიდება საქმეს და სულ იმის ცდაშია, რომ ხშირი წარმოდგენების მართვით და კერძო შემოწირულების შეგროვებით სასწავლებლის საწარმოდო წყარო წლიურად 1,200 მან. როგორმე აღმოუჩინოს ხოლმე, მაგრამ მარტო ფული ხომ ვერ აჭარმოებს სკოლას? მას ბევრნაირი ზრუნვა უნდა; საჭიროა სწავლების საქმის უკეთ დაყენება და გაფართოვება. კომიტეტმა კარგად უნდა იცოდეს, რომ 35 წლის წინედ გახსნილ ერთ-კლასიან სასწავლებელს გაორკლასიანება უნდა.

უპირველეს ყოვლისა კი კომიტეტმა ხელსაქმის განყოფილების გაუმჯობესებას უნდა დაადგეს. უეჭველად, ახლავე ჭრა-კერვა უნდა შემოიღოს, თორემ მარტო ბადიშის პირების კერვა და ქარგვა ვერ დააკმაყოფილებს ჩვენ ქალიშვილებს მათ მომავალ ცხოვრებაში. კომიტეტს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თავისვალდებულებად მხოლოდ ფულის შეკრება დაუსახავს შიგ კი არ იხედება, არ ათვალიერებს თუ რა ხდება სასწავლებელში; მასწავლებლები თავიანთ მოვალეობას წესიერად ასრულებენ თუ არა, ეს მათ არ იციან. ამ ვალდებულებას რომ ასრულებდეს კომიტეტი, ძალიან კარგი იქნებოდა. შეუძლებელია ორიოდე სიტყვით არ შევეხოთ აქ. ქართველთა საეკლესიო სამრევლო-სკოლასაც, რომელიც 54 წელიწადია არსებობს., მხოლოდ ს ხელით.

ამ სასწავლებელს არავითარი კომიტეტი არ ჰყავს და არც ანგარიშის გამწევი. მისი ბედიგბალი დამოკიდებულია მარტო მღ. ვარძელაშვილზე, რომელიც მხოლოდ ორ მასწავლებელს ჯამაგირებს აძლევს სკოლის ფონდიდან. რომ არაფერს ასწავლიან აქ, ამაზე ბევრს აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მღ. ვარძელაშვილი დიდი მოვალეა, რომ ამ სასწავლებელს თავის სამრევლოდან შეუდგინოს კომიტეტი, სადაც მცოდნე პირებიც უნდა მოჰყვნენ, რომ სასწავლებელს წესიერად გაუძღვნენ წინ.

**შხამიანი ისარი.**

## გ. ს. და—ნის წერილის გამო

სახალხო გაზ. 281 ნომერში წავიკითხე გ. ნ. ს. და—ნის „პატარა შენიშვნა" გ. ჯაჯუს წერილის გამო. მეც როგორც სოფელში მცხოვრებს და ხალხთან ახლოს მყოფს, შემიძლიან მკითხველს მოვახსენო ის ხალხური ჩვეულებანი თუ თქმულებანი, რაც გამიგონია ჩვენში—ლეჩხუმში, სახელდობრ წმინდა გიორგიზე. ლეჩხუმში არის ერთი სოფელი, ცხეთა, რომლის ეკლესიაში, ხალხის რწმენით, ინახება უხსოვარი დროიდან წმინდა გიორგის ის მშვილდ-ისარი, რომლითაც მან მოჰკლა ზღაპრული გველეშაპი, რომელსაც ნახევარი ხმელეთი საწოლად უნდოდა და მთელი დედამიწის წყალი სასმელად. ამავე მშვილდ-ისრით იხსნა ქართველების ჯარი მტრის ძლიერი და ურიცხვი ჯარის დამარცხებისგანო. ს. ცხეთას ყოველ მარიობას დღეობა იციან და ამ დღეს მრავალი მიმსვლელთაგანი შესაწირავს სწირავს: ფულს, ქათამს, კრავს, ტაბლებს და სხ. ლოცვით და მეტანიით გაძვრება ხსენებულ მშვილდ-ისარში იმ მოსაზრებით, რომ ამით ღებულობს იგი სულის და ხორცის ძალას, მას ვეღარ აჯობებს მტერი და იკურნება სენისაგან. მიჰყავთ შეშლილებიც ამ მშვილდ-ისარში გასატარებლად, რათა სიგიჟისაგან განიკურნოს. თუ ღამე მიმავალთ რამე მოეჩვენათ, იმ წამსვე წმინდა გიორგის ახსენებენ, როგორც მხსნელს. „წმინდა გიორგი, შენ მიშველე შენი მშვილდ-ისრითო". ბევრისგან გამიგონია, ამა და ამ ნაძრახ *) ადგილზე ღამით მივდიოდი და თეთრად ჩაცმულ ქალათ მომეჩვენა მავნებელი სულიო. როგორც ვახსენე ჩემი წმინდა გიორგი და პირჯვარი გადვისახე იმ წამსვე გაჰქრაო. ხალხისავე წარმოდგენით წმინდა გიორგი ერთი ისეთი უძლეველთაგანი წმინდანი გმირია, რომელსაც მრავალჯერ უხსნია ჩვენი ხალხი გაჭირვებისაგანო და რომელსაც ბადალი ჯერ არ ჰყოლიათ. ამიტომ მას და მის ნაქონ ნივთს დიდის თაყვანისცემით იხსენიებს ხალხი. დიდი პატივი და თაყვანის ცემა აქვს ხალხს. აქედან მკითხველი დაინახავს, თუ რაოდენი მსგავსებაა გ. ს. და-ნის მიერ მოყვანილ მეგრელთა ჩვეულებასა და ლეჩხუმელთა ჩვეულებათა შორის.

**ლაჯანელი ბანოვანი.**

*) ნაძრახ ადგილს ჩვენში ეძახიან იმეთ ალაგს, სადაც თქმულებით ტყის ქალი და სხვა ამისთანები იმყოფება.

## უცხოეთი

**ინგლისი.**

პარლამენტმა მიიღო **ქალთა საარჩევნო უფლების ბილლი,** რომლის მომხრედ 265 ხმა იყო, მოწინააღმდეგედ 88. კამათის დროს, ლიბერალმა მალკოლმ სკოტმა ბილლის წინააღმდეგ ილაპარაკა. მისი აზრით პოლიტიკურს და სოციალურს უფლებ მოძრაობას საძირკვლად ფიზიკური ძალა უდევს, ეს ძალა კი ქალს არა აქვს.

—როცა პარლამენტი კარლოს 2 ებრძოდა,—სთქვა სკოტმა—იმ საბუთებით როდი მოქმედობდა, არც მილტონის ტრაქტატები წაუკითხვინებია მეფისათვის.

ბილლი კომისიას გადაეცა. ბილლს მხარი დაუჭირეს შემდეგმა მინისტრებმა: ლლოიდ-ჯორჯმა, ედუარდ გრეიმ, რენსიმენმა და მონტეგიუმ.

**ჩინეთი.**

იაპონლებმა ჩინეთის სესხის პირობათა გამოსარკვევად ყოველი ღონე იღონეს.

ინგლისელ ერთ ელჩს უთქვამს, იაპონიის ინტერესები მანჯურიაში უზრუნველყოფილია. ამერიკელმა ელჩმა განაცხადა, ჩინეთმა კიდი ფინანსიურ საქმეების მოსაწესრიგებლად აიღოვო. თუმცა ამ ელჩს მოლაპარაკებაში მონაწილეობა არ მიუღია იმ დროს, როდესაც ვალის იმ ნაწილზე ჰქონიათ თათბირი, რომელიც მანჯურიას შეეხებოდა, მაგრამ მაინც დანამდვილებით უთქვამს, რუსეთ-იაპონიის ინტერესებს მანჯურიაში არავითარი განსაცდელი არ მოელისო. ის ოთხი სახელმწიფო, რომელიც ჩინეთს ფული არ ასესხებს, მანჯურიის შინაურ საქმეებში არ ჩაერევიან.

რუსეთის მისიის მდივანს უთქვამს: როცა სესხის პირობები თვითეული მათ განმარტავს და გამოცხადდება მის დაწვრილებით განიხილავენ, რუსეთის მთავრობა საჭირო ზომებს მიიღებს, რადგანაც რუსეთისა და იაპონიის ინტერესები მანჯურიაში სრულიად ერთნაირია.

საფრანგეთის მისიის მდივანს უთქვამს: საფრანგეთმა სესხის გაცემაში რუსეთ-იაპონიის ინტერესების დასაცავად მიიღო მონაწილეობა.

**აჯანყება ჩინეთში** თან და თან ძლიერდება. თუმცა კანტონში იგი ჩაცხრა, მაგრამ მოძრაობა ეხლა სამხრეთის მთებში. კანტონის მიდამოებში ბრბომ მთავრობის ჯარები გაჰქცია. შეტაკების დროს ბევრი მოკვდა. ჯარებს მაშველი ჯარები გაუგზავნეს. რკინის გზაზე მოძრაობა შეჩერებულია. ამავე დროს იაპონელებისადმი მძულვარებაც დღითი-დღე იზრდება. ჩინელთა და იაპონელთა შორის შეტაკებანი გახშირდა. ხან-ხუნის ვოგზალზე 23 ჩინელ ჯარის კაცს და იაპონელებს ჩხუბი მოუვიდათ. ჩინელებმა იაპონელებს სცემეს და მიიმალნენ. ამ ამბავმა იაპონელების გაზეთები ძალიან შეაშფოთა.

**სპარსეთი.**

სალარმა ამ რამდენიმე დღის წინედ თანამდებობიდან გადადგომა ითხოვა. 23 მარტს მთელი სამინისტრო, მოხელენი და ოფიცრები, სამოქალაქო მმართველის ამირ აზამის მეთაურობით, რეგენტთან მივიდნენ და სთხოვეს, სიპეხსალარის თხოვნა არ შეეწყნარებინა. ამირ აზამი სეპეხსალარის მარჯვენა ხელია. სეპეხსალარმა სამხედრო მინისტრის პორტფელი ამირ-აზამის შეთხვევით შეინარჩუნა, თუმცა პორტფელი ფაქტიურად ამირ-აზამის ხელში იყო. მართალია რეგენტმა ამ რამდენიმე დღის წინედ განაცხადა, მოხელეებმა პოლიტიკურ საქმეებში მონაწილეობა არ უნდა მიიღონო, მაგრამ ეხლა ძალიან ნასიამოვნები დარჩა, რომ მოხელეებმა „სამსახურისადმი ერთგულება გამოიჩინეს".

რუსეთის მთავარი საეჭვო ეხლა სპარსეთში იმ ვალებსა ჰკრეფავს, რომელიც რუსეთის ბანკს კერძო პირებზე გაუცია. ვალების საერთო ჯამი მრავალ მ ლიონ მანეთს შეადგენს. ბანკის საჩივარი გარეშე საქმეთა სამინისტრომ განიხილა. განხილვას რუსეთის მთავარი ელჩი პოხიტონოვი დაესწრო.

## რუსეთი

16 აპრილს ქ. ვოლოგდაში სალამოს წარმოდგენა იყო. წინა რიგში იჯდა ვოლოგდის ციხის ინსპექტორი ეფიმოვი. უკანასკნელ მოქმედების დასაწყისს, ბოლო რიგიდან, ერთმა ახალგაზრდა ქალმა ხუთჯერ ესროლა რევოლვერი, შემდეგ დაიყვირა: „ცეცხლი გაჩდაო". ხალხი აირია. მსროლელმა ამ არეულობით ისარგებლა და სადღაც მიიმალა. ეფიმოვი დაჭრილი აღმოჩნდა ხელსა და კისერში. შეუდგნენ მსროლელთა ძებნას, მაგრამ მისი ვერა გაიგეს რა. დამჯაშავის საპოვნელად პეტერბურგიდან ვოლოგდაში მაძებარი ძაღლები მიიყვანეს. ძაღლებმა დიდი წვალების შემდეგ კვალს მიაგნეს. თეატრიდან ვაგზლისკენ წავიდნენ, ვაგზალზე ერთ ხანს იტრიალეს, კასასთან მივიდნენ და შემდეგ გარედ ბაქანზედ გავიდნენ. აქ კი გაჩერდნენ და ფეხი არ მოიცვალეს. პოლიცია დარწმუნდა, რომ დამნაშავე ქალი იმავე სალამოს ვოლოგდიდან რკინის გზით სადღაც წასულა. შემდეგ პოლიციამ შეიტყო, რომ ვოლოგდიდან რამდენიმე ვერსით დაშორებულ ერთ პატარა სოფელში ვიღაც ახალგაზრდა ქალი ღამე მისულა. იმ ღამეს დიდი წვიმა იყო. ქალს მინდორში გაუთენებია, ხოლო მეორე დღეს გლეხიდედა-კაცის ტანისამოსი უყიდნია და მატარებლით სადღაც წასულა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 აპრილი.

**საზღვარ-გარედ.**

**სან-დიეგო.** (ტეხასი) ინსურგენტებმა დაიჭირეს მოსაზღვრე ქალაქი ტიაჯიანი და ნაწილი კადასწევს. ინსურგენტების ბელადი მადერო ძლიერ დაღონებულია, რომ ვერ შესძლო თავიდან აეცილებინა ეს ბრძოლა. ვაშინგტონში ხმები დადის, ვითომ მადერომ დაჰკარგა ძალა და გავლენა ინსურგენტებზე, რაიც ძალიან აშფოთებს ყველას.

**ბრიუსელი.** ფალიერის პატივსაცემად გამართულ სადილზე მეფემ და ფალიერმა გამოსთქვეს საერთო სურვილი, რომ ორივ ქვეყნის ეკონომიურ ინტერესების დასაცავად საჭიროა რაც შეიძლება მჭიდრო შეგობრული კავშირი შეჰკრათო.

**მესხიკა.** მეამბოხეებმა ცეცხლი წაუკიდეს ხუარეცს. ძლიერი ქარი ხელს უწყობს ცეცხლის გაძლიერებას.

**ედინბურგი.** თეატრი ემპაირპალასი წარმოდგენის შემდეგ დაიწვა. ადამიანის თავს უბედურება არა ყოფილა.

**ტანჟერი.** მაგალლა ფესიდან გამოვიდა, დაეცა აჯანყებულებს, დაამარცხა და დაიჭირა სიპაგრეები ნაჯალფარაჯისა. 1000 კაცილი დაეცა გენერალ მუანიეს ბანაკს, მაგრამ ჯარმა აჯანყებულები მოიგერია და გაჰფანტა.

**პარიზი.** სენის დეპარტამენტის სოციალისტურმა ფედერაციამ მიიღო დადგენილება, რომელიც საფრანგეთის მაროკოში მოქმედებას ჰგმობს. „მატენი" იუწყება, რომ დეპუტატთა პალატის სარევიზიო კომისიამ მიწათმოქმედების სამინისტროს ანგარიშებში ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა.

**კატტარო.** ტურგუ-ფაშამ კარტრატების ოლქში დასწვა მრავალი სამოსახლო შენობა. ბრძოლა გრძელდება. არნაუტების ჯარში იტალიელი თავი სუფალი მეომრებიც ურევიან.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო უარჰყოფს ცნობას, ვითომ ალბანელთა დელეგატები შუამდგომლობენ ბულგარეთის მთავრობის წინაშე, რომ მთავრობამ დახმარება აღმოუჩინოს მათ ოსმალეთის წინააღმდეგ.

**მეკაიო.** კონსტიტუციონალურ პალატის სესსიის გახსნა 9 ოქტომბერს მოხდება.

**ელპასო.** ხუარეცში ბრძოლა განახლდა. ინსურგენტები ქალაქის ყუმბარებს ესვრიან. სასტუმროს სახურავები სავსეა მაყურებლებით.

**ლარედო.** (ტეხასი) კონსპესიონ დელორომ მახლობლად ბრძოლა მოხდა. მეციხოვნე ჯარმა 50 კაცი დაჰკარგა.

**ბარცელონა.** დამთავრდა ბამბის საქმეების კონგრესი. შემდეგი 1913 წელს მოხდება.

**ედინბურგი.** ცეცხლმა თეატრის მხოლოდ უკანა ნაწილი დააზარალა. ნანგრევებიდან შვიდი გვამი ამოიღეს.

**რუსეთი**

**კიევი.** უნივერსიტეტთან გაიხსნა ხოლერის და შავი ჭირის ბაქტერიოლოგიის კურსები.

**მოგილიოვი.** გამოაქვეყნეს საერობო არჩევნებში მონაწილეთა სია. პირველ კრებაზე რუსები 4523 არიან, პოლონელები 1094. მეორე კრებაზე რუსები 8111, პოლონელები 1156. საარჩევნო ერებისათვის რუსები 781 არიან, პოლონელები 579. რუსები უფრო ნაკლებ ბიხოვისა და ორშანის მაზრებში არიან. პოლონელები ორჯერ მეტნი გამოვიდნენ სენენსკის მაზრაში.

**ხიზრანი.** შიგონაში 150 კომლი და 2 კაცი დაიწვა.

**ვიტებსკი.** საქალაქო სათათბიროს წევრად 42 ხმით, წინააღმდეგ 26-სა არჩეულ იქმნა სებეჟის მაზრის მღვდელი მიტროფანე ბლაჟევიჩი, რომელსაც სასულიერო სემინარია აქვს გათავებული. იგი მემარჯვენეა.

**ჩერნიგოვი.** კოზელეცკის მაზრაში, სოფ. ოზერიანში გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი კრასოვსკი.

**პეტერბურგი.** იუსტიციის მინისტრმა ცნობა მიიღო, რომ ფრანგ ოქრომჭედლების მუზერონის და დელაკორის დახოცვის საქმის გამოძიება უკვე დასრულდაო. დამნაშავენი, ოთხი ადგილობრივი მცხოვრები დაიჭირეს. გატაცებული ნივთები 200.000 მან. ღირებული იპოვეს. საქმე სამხედრო პროკურორს გადაეცა.

**კიევი.** გენერალ გუბერნატორმა აკრძალა სხვა ქალაქებიდან ეწვებართვოდ პოლონელთა სარწმუნოებრივი პროცესიის მოსვლა და ყველა იმ პირთა პატივ საცემლად პროცესიების გამართვა, რომელთა პატივცემაც კათოლიკურ ეკლესიის მიერ არის დაწესებული.

## სპორტი

**ფრანგული ჭიდაობა.**

27 აპრილს ხუთი წყვილი ჭიდაობდა. ყველაზე საინტერესო ვახტუროვისა და ბულის ჭიდაობა იყო. ხალხს ეგონა, რომ ბული დიდხანს მაინც გაუძლებდა ბუმბერაზ ვახტუროვს. მართლაც ორჯერ ისე მარდად და ლამაზად წამოიღო კისრულით ბულმა, რომ ხალხი აღტაცებაში მოვიდა. ამით გათამამებულს, მესამედაც უნდოდა ესევე ფანდი ეხმარა, მაგრამ იმედები გაუცრუვდა. ვახტუროვი ვერ გადაიტანა, და თითონვე დაეკიდა კისერზე. უკანასკნელმა ადვილად გადასწია უკან და წააქცია. ხალხი ძლიერ უკმაყოფილო დარჩა ბულის ამნაირი დამარცხებით. მერე ჯიბგირმა და ჩორნიმ იჭიდავეს. ჭიდაობა არ დასრულებულა. შლეიდერ მილლერისა და ბელოუსის ჭიდაობაც არ დასრულებულა. თუმცა პირველს ადვილად შეეძლო დაემარცხებინა ბელიაუსი. შემიაკინმა უშნო რუსულ ჭიდაობაში უშნოდ წააქცია რუსაკოვი, სევანოვმა—არვიდმაიერი.

## გამოსადეგი ცნობა

**ტფილისის ბირჟა**

20 აპრილი.

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

**სარგებლიან ქაღალდების ფასები:**

| | |
|---|---|
| 4% სახ. რენტა | 94½ |
| 5% გირ. ფ. სათ.-აზ. სახ. ს.-მამ. ბანკ. | 97⅞ |
| 4% „ „ „ „ | 90⅝ |
| 3½% „ | 86 |
| 5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ. | 87½ |
| 4½% „ „ „ | — |
| 5% „ „ ქუთ. მიწ. თ.-აზ. ბანკ. | 84¼ |
| 5% ობლიგაც. ტფ. ქალაქ. საკ. საზ. | — |
| 4½% „ „ „ | — |
| 5% I მომგებ. ბილეთ. | 467 |
| 5% II „ | 385 |
| 5% III „ | 336 |

**სარჩოვაჭრისა და ქირნახულის მაზანდა:**

| | |
|---|---|
| მატყლი ერევნული | — |
| ბამბა ქუთათური | — |
| აბრეშ. პარკი ქუთათ. და ადგილ. | 55—56 |
| ჭიათ. შავი-ქვა (ჩვეულებრივი | 6 „ |
| ჭიათ. შავი-ქვა (გარეცხილი | 7 „ |
| ყველი ქართული | 7—8 მ.50 კ. |
| თხილი ზაქათალისა | 3 მ. 35 კ. |
| ღვინო კახური | 3 მ. 20 კ.-დან 4 მ. |
| შაქარი (თავისა | 3 მ. 20 კ.-დან 4 მ. |
| შაქარი (ფხვიერი | 4 მ. 20 კ. |
| ხორბალი | 1 მ. 20 კ.-დან 1 მ 30 კ. |
| ქერი | — |
| სიმინდი | 70 კ.-დან 80 კ. |

**ვინ როდის იღებს მთხოვნელებს**

**ნამესტნიკი** ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან. სასახლეში ხოლო მოხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

**ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა** სამშაბათობითა და პარასკევობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა სასახ. სახლ.

**ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში** ოთხშაბათობით 2—3 საათ. მოხელეებს იღებს, ხოლო 3 ს. მერე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

**ეგზარხოსი**—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (ეგზარხოსის მოედანი).

**ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი**—ორშაბათობით ნაშუადღევის 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8)

**კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი**—ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე, შტაბის შენობაში (სასახლის ქუჩაზე).

**ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი** ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

**ტფილისის გუბერნატორი** — ყოველ დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. კიდში).

**კავკასიის მიწათმოქმედებისა და მიწად მომწყობი მთავარი რწმუნებული**—ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ საათ. კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა N 9).

**კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანასტასიევის ქუჩაზე).

**მეტეხისა და საგუბერნიო ციხეებში დატუსაღებულთა ნახვა შეიძლება დილის 10—2 საათამდე:**

**ხუთშაბათობით** — ციხე - მიხჯილთა (Крепостникъ) და იმ დატუსაღებულთა, რომელთაც პოლიტიკური დანაშაულობა ბრალდებათ და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

**კვირაობით**—ადმინისტრატიულად დასჯილთა, საპყრობილე და სატუსაღო მისჯილთა (Тюрем. заключ. и арестант. отд). და ყველა მათი, რომელნიც სასამართლოში არიან მიცემულნი და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

**ყოველ თვის 20 რიცხვში** (თვეში ერთხელ)—კატორღა-მისჯილთა.

**დატუსაღებულთა ნახვისთვის ნებართვა**—თუ დატუსაღებულის საქმე გათავებულია და უკვე სასჯელს იხდის—ციხის ადმინისტრაციისგან უნდა აიღონ; თუ საქმე ჯერ გამოძიებაშია ნებართვისათვის იმ პირს ან დაწესებულებას უნდა მიჰმართონ, რომლის ხელშიაც საქმე ირიცხება.

**ყოველ კვირა-ხუთშაბათს** შეიძლება გადაცემა ჩაი-შაქრისა (რაიმე პარკებით), ტანისამოსისა და ფულისა. ფულის მიცემის დროს საჭიროა ბარათის ჩამოართმევა. რისამე მიცემის დროს საჭიროა რაშიაც იქნება გახვეული გადასაცემი ზედ დაეკრას ქაღალდი. რომელზედაც ეწერება სია გადასაცემისა და გვარი ვისთვისაც არის დანიშნული.

**შეიძლება გადაცემა** აგრეთვე წიგნებისა, მხოლოდ წინდა წინ პროკურორისაგან ნებართვა უნდა იყოს აღებული.


ბოლოჯერისა და შოპის დღესასწაულებში ნახვისათვის ცალკე დღე ინიშნება, რომელსაც დღესასწაულის წინა დღეებში აცხადებენ

## განცხადებანი

### დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუსხელი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეგლარიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს.. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს შინაგანი ბავშვთა ავად.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი:** 5—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**თ. მ. ზედგინიძე-ენუქიძე:** 6—6½ ს საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, **კონსულტაციური.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1163—25)

◀ **მშობიარეთათვის** ▶

### თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—94)

**ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში**

### იყიდება შემდეგი წიგნები:

**არჩილ ჯორჯაძისა:** „ეროვნულ პრობლემის გარშემო". ფასი 75 კაპ.

**Báto ნ-ისა:** „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით".—ფასი 1 მან. 20 კაპ.

**ვ. უიფთანისა:** „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან"—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის" („Новая рѣчь") წიგნ. მაღაზიაში და **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

### გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი", „ახალი საქმე", „სინათლე", „ზაკავკაზსკაია რეჩი", „ჰორიზონი", „სურანდაკი", „ცხოვრება და ხელოვნება", „სალამური", „ხათაბალა", ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სურამში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი სარაჯოვისა.

**საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა**

საღიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ

## ძმ. ძეგველოვების

● მაღაზიას ●

**პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მოლოგას თევზის ორაგული (სიომგა)

**მივიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა**

გირვანქა 2 მ. დან 2 მან. 40 კ.-დე.

**წითელი ხიზილალა** (Кетовая). 60 კ. გირ.

და **ბელა-რიბიც 50 კ.**

აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ.—1053—)

**საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა**

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა



მადათოვის ქუჩის სტამბა „სორაპანი"

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი